N 148 27/07/2020

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს "
სხდომის ოქმი №4

ქ. ლანჩხუთი
24.07.2020 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის წევრები: ბესიკ ტაბიძე, ზაალ სანაძე, კახა ბოლქვაძე, რეზო კვაჭაძე, კახა თედორაძე, რევაზ კვერენჩხილაძე, ვლადიმერ ნანაძე,ციცინო ჩხაიძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ბესიკ კუპრაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების განხილვა.

/მომხსენებელი ბესიკ კუპრაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვა.

/მომხსენებელი ბესიკ კუპრაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვა.

/მომხსენებელი ბესიკ კუპრაძე/

4.სხვადასხვა

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: მომხრე 9 , წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო **საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ.** მან იმსჯელა ბიუჯეტში შესატან ცვლილებებზე: რომლის მიხედვით საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 23 ივნისის N1049 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულებაში (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ), ცვლილების შედეგად შემცირდა გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები 19492 ლარით, მ.შ ცენტრალური დაფინანსება 18549 ლარით. საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია 56182 ლარით, მ.შ ცენტრალური 53373 ლარი. კაპიტალური დაბანდებებები გარე განათების სფეროში 28985 ლარით, მ.შ ცენტრალური 27536 ლარი. კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში 6342 ლარით, მ.შ ცენტრალური 6024 ლარი, შემცირებების ხარჯზე გაიზარდა წყლის სისტემის რეაბილიტაცია 357580 ლარით, მ.შ ცენტრალური 339701 ლარი.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 02 ივლისის N1133 განკარულებით შევიდა ცვლილება 2020 წლის 20 თებერვლის N325 განკარგულებაში და მუნიციპალიტეტს დამატებით გამოიყო 1 000 000 ლარი, საქართველოს მთავრობის 09 იანვრის N27 განკარგულებით (ფაქტობრივად ან განხორციელებულა ტრანსპორტირება) მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი შემცირდა 254973 ლარით.

2020 წლის ბიუჯეტში შემცირდეს გადასახდელები კერძოდ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქონელი და მომსახურების მუხლი 5000 ლარით, სოც.უზრუნველყოფის მუხლი 10000 ლარით; მუნიციპალიტეტის მერიის საქონელი და მომსახურების მუხლი 10000 ლარით, სოც.უზრუნველყოფის მუხლი 10000 ლარით, ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლი 1200 ლარით, ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლი 100400 ლარით, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლი 15000 ლარით და სხვა ხარჯების მუხლი 20000 ლარით, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსება 45000 ლარით, მ.შ არაფინანსური აქტივები 13400 ლარი და საქონელი და მომსახურება 31600 ლარით. განათლების ღონისძიებების 3000 ლარით, კულტურის ღონისძიებები 7000 ლარით.

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებებისათვის სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 10000 ლარით, ააიპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის საქონელი და მომსახურების ხარჯი 130000 ლარით, „ააიპ საფეხბურთო სკოლის“ დაფინანსება 29600 ლარით, „შპს ლანჩხუთის“ დაფინანსება გაიზარდოს 20000 ლარით.

ბიუჯეტის შემოსავლების (კაპიტალურის ჩათვლით) შემცირებისა და ცალკეული ღონისძიებების ხარჯების გაზრდის გათვალისწინებით გაიზარდოს შერეული და არაკლასიფიცირებული შემოსავლები 15000 ლარით, ჯარიმები და საურავები შემოსავალი 1543660 ლარით.

ასევე მისი თქმით აღნიშნულ ცვლილებებს უნდა დაემატოს ეკონომიის ხარჯზე 60 ათას ლარამდე თანხა, ხორეთში ხარების ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციისთვის.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

დადგენილების პროექტს ფრაქციის წევრებმა მხარი დაუჭირეს შესაბამისი ცვლილებებით.

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებიამ,** მისი თქმით მერს უნდა მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, გვიმბალაურის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულის N5-10.83 კვ.მ.; N7-18.03 კვ.მ.; და N8 -8.60 კვ.მ.ფართები; მეორე სართულის N1-71.01 კვ.მ; N3 - 49.75კვ.მ.; N4 -7.88 კვ.მ; N7-16.01 კვ.მ; N8-156.74 კვ.მ ფართები და მესამე სართულის მთლიანი 161.01 კვ,მ. ფართი (ს/კ 27.08.46.002)) ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (ს/ნ 233731478) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 9 , წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებიამ,**მისი თქმით მერს უნდა მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ. N37-ში მდებარე N1 შენობის (ს.კ 27.06.52.141) მეორე სართულზე არსებული 14,38 კვ.მ N16 ფართი) ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის“ (ს/კ 202051536) პირდაპირი განკარგვის წესით, 2 წლის ვადით, სარგებლობის უფლებით - უსასყიდლოდ გადაცემაზე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 9 , წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა

ფრაქციის წევრმა ვლადიმერ ნანაძემ აღნიშნა ,რომ ლანჩხუთში ქალაქის ტერიტორიაზე თამარ მეფის ქუჩაზე დაზიანებულია ასფატის საფარი ამავე ქუჩის პირველ და მეორე ჩიხებში სასურველი მოწესრიგდეს გზა.ასევე მერიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის უკანა მხარეს მოსაწესრიგებელია გზის საფარი.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის თავმჯდომარე
ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი
24.07.2020 წელი 14:00 საათი

სახელი, გვარი	დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – ბესიკ კუპრაძე	13:57	
2. ბესიკ ტაბიძე	13:55	
3. ვლადიმერ ნანაძე	13:56	
4. ციცინო ჩხაიძე	13:58	
5. კახა თედორაძე	15:55	
6. რეზო კვაჭაძე	13:58	
7.ვენე კვირკველია		
8. ზაალ სანაძე	13.58	
9.გიორგი ჩახვაძე		
10.გიორგი გვარჯალაძე	[illegible]	
11.კახა ბოლქვაძე	13:57	
12.რევაზ კვერენჩხილაძე	14:00	